

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განვითარება საქართველოში

I. შესავალი

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განვითარებას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. მართალია, თანამედროვე მოდელის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკითხი საქართველოში პირველად მეცხრამეტე საუკუნეში გახდა აქტუალური,¹ რეალურად კი 1920 წელს ამოქმედდა², მაგრამ როგორც მკვლევრები თანხმდებიან³, ამგვარი სასამართლო სისტემის ჩანასახი ქართულ სამართალწარმოებაში გაცილებით ადრეულ საუკუნეებშიც შეინიშნებოდა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ნიშნები განსაკუთრებით გამოკვეთილია საქართველოს მთაში, სადაც „მოსამართლეებს“ ხალხი ჩვეულებრივი მოსახლეობიდან ირჩევდა და საქმის განხილვა ფიცის დადების შემდეგ იწყებოდა.

ნაშრომის მიზანი საქართველოში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩანასახიდან მოყოლებული, პირველი რესპუბლიკის მართლმსაჯულებით გაგრძელებული, დღეს არსებული მოდელის

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტი, ადვოკატი.
orcid.org/0000-0003-0333-165X.

¹ ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი 12 ტომად, ტ. VI, თბილისი, 1982, 89.

² საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, თბილისი, 1990, 472.

³ ჯავახიშვილი ი., თხზულებანი 12 ტომად, ტ. VII, თბილისი, 1984, 49-61; დავითაშვილი გ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისი, 2010, 19; მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, თბილისი, 2002, 21; დოლიძე ი, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბილისი, 1960, 11.

ისტორიულ-გენეტიკური კვლევა – როგორ მივიდა თანამედროვე სისტემამდე და როგორი ტრანსფორმაცია განიცადა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტმა; ამასთან, იმ ურთიერთობების ძირითადი მიმართულებების, მახასიათებლებისა და ნიშან-თვისებების მიმოხილვა-განზოგადება, რომლებმაც განსაზღვრეს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის გამოჩენა 2010 წელს ქართულ კანონმდებლობაში.

II. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩანასახი საქართველოს მთაში

1. ზოგადი მიმოხილვა

საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედებამდე ხალხის წარმომადგენლები მართლმსაჯულების განხორციელებაში სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდნენ.⁴ აღსანიშნავია, რომ სამედიატორო სასამართლო სწორედ იმ დროს წარმოიშვა, როდესაც საზოგადოება მართლმსაჯულებას სისხლის აღებითა თუ შურისძიებით ახორციელებდა.⁵ შესაბამისად, გაჩნდა საჭიროება იმისა, რომ მხარეებს შორის დავა სხვაგვარი მექანიზმით მოგვარებულიყო, კერძოდ კი, მხარეთა მორიგებისა და ჩვეულებითი სამართლით დაწესებული ქონებრივი საზღაურის გადახდის მეშვეობით. სამართლიანია იმის თქმა, რომ სამედიატორო სასამართლოს დანერგვის დანიშნულება სწორედ რომ მხარეთა შერიგება და შურისძიებისა და სისხლისღვრის თავიდან აცილება იყო.

მედიატორი ისტორიულ წყაროებში სხვა დასახელებით, თუმცა იმავე ფუნქციური დატვირთვით გვხვდება: მსაჯული, რჯულის კაცი⁶,

⁴ მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება საქართველოში, თბილისი, 2020, 271.

⁵ დავითაშვილი გ., შურისძიება და შერიგება ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისი, 2021, 12.

⁶ დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისი, 2004, 34.

მახვი⁷, ბჭემედიატორი, ხევისბერი, მორვი⁸ (მედიატორის მნიშვნელობა სვანეთში)⁹, შუაკაცი¹⁰, ხოლო XIX საუკუნის დასაწყისიდან ტერმინების – „მედიატორისა“ და „სამედიატორო სასამართლოს“ გამოყენება ასევე შეინიშნება¹¹ და თანდათობით მკვიდრდება საქართველოში¹² (მათ შორის, სვანეთში¹³).

საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტია ის გარემოება, რომ მედიაცია ტრადიციულ ჩვეულებით ქართულ სამართალში, დღევანდელი გაგებით მედიატორისგან განსხვავებით, გარდა მხარეთა შორის შემათანხმებლის ფუნქციის შესრულებისა, უფრო ფართო უფლებამოსილებით სარგებლობდა, მათ შორის, მიმდინარე კონფლიქტზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღების ვალდებულებით იყო აღჭურვილი და მედიატორი (ბჭე) სწორედ ამ მიზნით ერთვებოდა მხარეთა შორის არსებულ კონფლიქტში, რათა, ერთი მხრივ, მხარეებს შორის კონფლიქტი აღმოფხვრილიყო და განეიტრალებულიყო, თუმცა, მეორე მხრივ, მიღებულიყო სადავო საკითხზე გადაწყვეტილება და დადგენილიყო მხარეთა შორის სიმაჟათე,¹⁴ რომელსაც მხარეები საბოლოოდ დაემორჩილებოდნენ.¹⁵

⁷ აღაბეგოვი ყ., ეგნატე გაბლიანი და სვანეთის ჩვეულებითი სამართალი, წიგნში: ქართული ჩვეულებითი სამართალი, მ. კეკელიას რედაქტორობით, თბილისი, 1993, 89.

⁸ დავითაშვილი გ., დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, N1, 2011, 287.

⁹ წულუკიანი ა., სვანური ბჭემედიატორული სასამართლო, ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, თბილისი, 1990, 60.

¹⁰ საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოძრაობა XIX საუკუნის 60-70-იან წლებში, ტ. 4, თბილისი, 2011, 39.

¹¹ წულაძე ა., ქართული სასამართლო მედიაციის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2017, 176.

¹² დავითაშვილი გ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბილისი, 2004, 4, 5.

¹³ მახარაძე ა., კონფლიქტის არსი და მედიაციის ინსტიტუტი ისტორიულ ასპექტში, წიგნში: ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. III, ბათუმი, 2011, 44.

¹⁴ მაკალათია ს., ფშავი, მე-2 გამოცემა, თბილისი, 1985, 80.

¹⁵ ტყემალაძე ს., მედიაცია საქართველოში: ტრადიციიდან თანამედროვეობამდე, თბილისი, 2016, 11.

მედიაციის და მედიატორის მიმართ დიდი პატივისცემა და მონივნება არსებობდა საზოგადოებაში და ამ პროცესით დადგენილი ჭეშმარიტების პატივისცემა ყველას ევალეობდა. აღსანიშნავია, რომ ისტორიულად მედიატორის ფუნქციას საზოგადოებაში ავტორიტეტული პიროვნებები ითავსებდნენ, რომელთა მიმართ მაღალი იყო საზოგადოების ნდობა და მონივნება. ისტორიულადაც და დღევანდელი ვითარებითაც, „მაგისტრატი“ და „მომრიგებელი“ მოსამართლე, ისევე, როგორც „მაგისტრატთა სასამართლო“ და „მომრიგებელი სასამართლო“, მეტწილად ან სულაც იდენტური, სინონიმური ცნებებია¹⁶. აღნიშნული ავტორიტეტის და საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციის გამო საქართველოს ახლო წარსულის მაგალითზე, მედიატორის, იმ ეპოქისთვის მომრიგებელი მოსამართლის, შესანიშნავი მაგალითია ილია ჭავჭავაძე, რომელიც მომრიგებელი მოსამართლეების ინსტიტუტს დადებითად აფასებდა და საზოგადოების სამართლებრივი პრობლემების დროულად მოგვარების მექანიზმად აღიქვამდა (თავადაც იკავებდა ამ თანამდებობას).¹⁷

საქართველოს მთიანეთის მსგავსად, მედიაციამ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე წარმატებით დაამტკიცა, რომ ის დავის გადაწყვეტის ეფექტური საშუალებაა და ობიექტურად იმკვიდრებს თავს როგორც ყველაზე მოთხოვნადი დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალება, რითაც კიდევ ერთხელ ამართლებს ღირსი ფილიპის სიტყვებს, რომ „დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარებას ალტერნატივა არ გააჩნია“¹⁸. ილია ჭავჭავაძე მიიჩნევდა, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შეეძლო ჭეშმარიტად სამართლიანი მართლმსაჯულების განხორციელება.

¹⁶ გაბისონია ი., ნაფიც მსაჯულთა, მაგისტრატთა და მომრიგებელი სასამართლოები, თბილისი, 2008, 98.

¹⁷ ჭავჭავაძე ი., მომრიგებელი სასამართლოების შესახებ, გაზეთი „ივერია“, N86, 22 აპრილი, 1886.

¹⁸ ყანდაშვილი ი., საქართველოში მედიაციის მაგალითზე დავის ალტერნატიული გადაწყვეტის სასამართლო და არასასამართლო ფორმები, თბილისი, 2018, 261.

რციელება ქვეყანაში¹⁹. იგი მომრიგებელი მოსამართლისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტებს პირდაპირ უკავშირებდა სამართლიანი მართლმსაჯულების იდეების დამკვიდრებას საზოგადოებაში.

2. სამედიატორო სასამართლო ხევისურეთში

სამედიატორო სასამართლოს ხევისურეთში ერქვა „რჯული“. ამავდროულად, ხევისურეთში „რჯული“ ერქვა იქაურ სამართალსაც²⁰. არჩეულ მედიატორებს კი „რჯულის კაცებს“ უწოდებდნენ, ხშირად კი – „ბჭეებს“. სადავო საქმის არსებით განხილვას ხევისურეთში „გარჯულვას“ ეძახდნენ, გამოტანილ განაჩენს კი – „ნარჯულევს“, მხარეები პროცესში „მერჯულეებად“ იწოდებოდნენ.²¹

ხევისურეთში „რჯულის კაცების“ თანამდებობა არ არსებობდა, ამიტომ მხარეები თვითონ წყვეტდნენ, ვინ მოეწვიათ მსაჯულებად. ძირითადად, არჩევანი კეთდებოდა პატივსაცემ, ავტორიტეტულ, ღვთისმოშიშ პიროვნებაზე, რომელიც კარგად ერკვეოდა ხევისურულ „რჯულში“ (სამართალში). როგორც წესი, მკვლეელი და მოკლულის პატრონი ირჩევდნენ მხოლოდ ავტორიტეტულ პირს.²² „რჯულს“, ანუ სამედიატორო სასამართლოს ყველაზე ხშირად ხევისურეთში ჭრა-ჭრილობების საქმეზე, ასევე მკვლელობასა და ქურდობაზე მიმართავდნენ.²³ „რჯულის კაცების“ საქმიანობა ძირითადად გადასახადის („დრამის“) ოდენობის დადგენით შემოიფარგლებოდა (თუ დამნაშავე არსებობდა და იგი აღიარებდა დანაშაულს). დაჭრის შემთხვევაში „დრამის“ ოდენობა ჭრილობის სიმძიმით განისაზღვრებოდა.²⁴

¹⁹ ბეჟაშვილი თ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, თბილისი, 2012, 8.

²⁰ დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევისურეთში, თბილისი, 2001, 6-7.

²¹ იხ., იქვე, 8.

²² ქართული ჩვეულებითი სამართალი, ნ. 2, თბილისი, 1990, 66.

²³ ქართული ჩვეულებითი სამართალი, ნ. 1, მ. კეკელიას და მ. ლორთქიფანიძის რედაქტორობით, თბილისი, 1988, 175.

²⁴ გოგოჭური ბ., ხევისურული რჯულ-სამართალი, თბილისი, 2012. 167.

„რჯული“ ტარდებოდა დამნაშავის დასადგენადაც.²⁵ ეჭვიმითანილი თუ უარყოფდა დანაშაულს, მას თავისი უდანაშაულობა ფიცით ან საფლავზე შედგომით – ცოდვის მოკიდებით უნდა დაემტკიცებინა. თუ ამას არ შეასრულებდა, იგი დამნაშავედ გამოცხადდებოდა და „დრამიც“ დაეკისრებოდა.²⁶ ხევსურული სამართლიდან გამომდინარე, თუ მკვლეელი ცნობილი იყო, „რჯული“ საერთოდ არ ტარდებოდა, რადგან მკვლელობისთვის გადასახადის, „დრამის“ ოდენობა წინასწარ იყო დადგენილი და მასზე არავინ დავობდა.²⁷ თუ „რჯულის კაცები“ ერთსულოვან გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ, მაშინ „რჯული“ იშლებოდა და მხარეებს ურჩევდნენ ახალი „რჯულის კაცები“ აერჩიათ. თუ რატომ ვერ შედგა შეთანხმება და რომელი „ბჭე“ რა პოზიციაზე იდგა, ეს საიდუმლოდ რჩებოდა.²⁸

„ნარჯულებს“ ერთ-ერთი მოსამართლე ჯერ ერთ მხარეს გამოუცხადებდა, შემდეგ – მეორეს. განაჩენის აღსრულების იძულების ფორმა არ არსებობდა, იგი მთლიანად მხარეზე იყო დამოკიდებული. თუ რომელიმე მხარე არ დაეთანხმებოდა „ნარჯულებს“, შეიძლებოდა ახალი „რჯული“ მოეთხოვათ.²⁹ იყო შემთხვევები, როცა სასამართლო მესამედ და მეოთხედაც ტარდებოდა. გადმოცემით, „რჯული“ ერთსა და იმავე საქმეზე შეიძლება ჩატარებულიყო მხოლოდ ცხრაჯერ.³⁰ თუ ორივე მხარე დათანხმდებოდა განაჩენს, მის აღსრულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ „რჯულის კაცები“. ისინი მიდიოდნენ დამნაშავე მხარესთან და დაზარალებულთან თავად მიჰქონდათ დაწესებული „დრამა“, თან დამნაშავე

²⁵ დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში, თბილისი, 2001, 38.

²⁶ იხ., იქვე, 40.

²⁷ ხარაძე რ., ხევსურული რჯული, ნ. I, თბილისი, 1947, 171.

²⁸ ონიანი ს., ტერმინ „ბჭის“ მნიშვნელობისთვის ძველ ქართულ სამართალში, „სამართლის ჟურნალი“, N2, 2013, 16.

²⁹ დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო ანუ „რჯული“ ხევსურეთში, თბილისი, 2001, 42.

³⁰ იხ., იქვე, 43.

შესარიგებლად მიჰყავდათ. დამნაშავე ბოდიშს მოიხდიდა და გაიშლებოდა სუფრა, რაც საბოლოოდ, შერიგებას ნიშნავდა.³¹ განაჩენზე დათანხმების შემთხვევაში „რჯულის კაცები“ იღებდნენ გასამრჯელოს. რამდენ ძროხასაც დააკისრებდნენ დამნაშავეს, იმდენი ცხვარი ეკუთვნოდათ, თუმცა ხშირად ინყალებდნენ და გასამრჯელოს არ იღებდნენ.³²

3. სამედიატორო სასამართლოები ფშავში

სამედიატორო სასამართლო, სვანეთისა და ხევსურეთის მსგავსად, მოქმედებდა საქართველოს მთის სხვა კუთხეებშიც, თითქმის ხევსურეთის ანალოგიური პრინციპით, მხოლოდ განსხვავებული სახელწოდებებით³³. ფშავში მედიატორ-მოსამართლეებს იხსენებენ როგორც „თავკაცებს“, „კაცთ საკითხავებს“, „ნაცად კაცებს“, „კითხულ კაცებს“, „რჯულის კაცებს“, „სოფლის თავკაცებს“, „მებჭეებს“, „მერჯულებს“, „ბჭეებს“, ასევე მედიატორებს, ისინი იყვნენ სამართლიანობით ცნობილი ხალხი, ხალხური სამართლის კარგი მცოდნენი, „ცოდვა-მადლით დაშინებულნი“.³⁴

აღსანიშნავია „ძეგლის დადება“, რომელიც მთიულეთისთვის შეიქმნა: თუმცა „თითქმის ყველა ხეობაში საკუთარი ადამიანი არსებობს და მოქმედებს, თუმცა ყველა კერძო ადამიანი საზოგადო ხასიათით ამჩნევია და საერთო ფერი სძევს. ძეგლის დებაც სწორედ რამდენიმე თემისა და ხეობის სჯული იყო, მაგრამ ამ სჯულს მაინც ცხადად დაეტიყო ჩვენი მთიულეთის საზოგადო ზნე-ჩვეულებათა ბეჭედი“³⁵.

³¹ იქვე, 45.

³² ფუტყარაძე ი., მთიულეთის სამართლის ისტორიისათვის, თბილისი, 1964, 12-15.

³³ მაკალათია ს., ხევსურეთი, თბილისი, 1984, 82.

³⁴ იხ., იქვე, 83.

³⁵ ხიზანიშვილი ნ., ძეგლისდება მეფე გიორგი ბრწყინვალესი, თბილისი, 1890, 22.

4. სამედიატორო სასამართლო სვანეთში

სვანური სამედიატორო სასამართლო ანუ „მორვალის“ სასამართლო ქართული სამართლებრივი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოვლინებაა.³⁶ სვანურ სამართალში შეინიშნებოდა სასამართლო პროცესის უძველესი ფორმა – საბრალდებო პროცესი, მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით. კერძოდ, მხარეები თავად ქმნიდნენ სასამართლოს შემადგენლობას, წარადგენდნენ მტკიცებულებებს, რომლებსაც მედიატორები აფასებდნენ და ამის საფუძველზე გამოჰქონდათ განაჩენი. მტკიცებულებათა შეკრებაში მოსამართლეები პასიურები იყვნენ. თავად სასამართლო პროცესი კი შეჯიბრებითი იყო, ხოლო მხარეები აბსოლუტურად თანასწორნი.³⁷

მიუხედავად იმისა, რომ მედიატორები უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, სვანები მაინც ერიდებოდნენ „მორევად“ არჩევას. ამის მიზეზი იყო ფიცის დადება³⁸, რომ სამართლიან გადაწყვეტილებას გამოიტანდნენ. სვანებს სჯეროდათ, რომ ტყუილად დაფიცება ღვთის რისხვას მოუტანდა არა მარტო მათ, არამედ მთელ ოჯახს და შთამომავლობასაც კი. მაგრამ უსამართლო (თუნდაც უნებური) გადაწყვეტილებისგან არავინ იყო დაზღვეული. ამიტომ „მორვები“ ძნელი „სამოვნელი“ იყო. თუ ვინმე წინასწარ გაიგებდა, რომ მედიატორად უნდა აერჩიათ, ცდილობდა თავი დაეღწია ამ საქმიანობისგან.³⁹

განაჩენის აღსრულება „მორვალის“ საბოლოო პროცესია. მხარეები ხატის წინ დებდნენ ფიცს, რომ დათქმულ დროს აღასრულებდნენ განაჩენს. იშვიათად, მაგრამ იყო შემთხვევები, როდესაც განაჩენი არ სრულდებოდა. თუ დაზარალებული მხარე ვერ მიიღებდა

³⁶ დავითაშვილი გ., სამედიატორო სასამართლო სვანეთში, თბილისი, 2002, 17.

³⁷ იხ., იქვე 19.

³⁸ კეკელია მ., ფიცი სვანეთის ჩვეულებით სამართალში, წიგნში: ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, III, თბილისი, 1979, 10.

³⁹ გაბლიანი ეგ., თავისუფალი სვანეთი, თბილისი, 1927, 111.

განაჩენით დადგენილ სარგოს, მას შეეძლო საკუთარი ძალით განწორებოდა დამნაშავეს⁴⁰.

როგორც უკვე აღინიშნა, სამედიცინო სასამართლოს მთავარი ფუნქცია მხარეთა შერიგება იყო, თუმცა სვანეთში ეს საკითხი უფრო რთულად იდგა, რადგან იქ სისხლის აღების ინსტიტუტს ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. სვანეთშიც ვხვდებით შუამავლებს და მათ „მეცქულარს“ უწოდებდნენ. საინტერესოა ის გარემოება, რომ სვანეთში არსებობდა გარიგების ხელწერილით დამოწმება, რაც, თავის მხრივ, გადაწყვეტილების აღსრულების გარანტი იყო. გარანტის ფუნქციას ასრულებდა ასევე მხარეთა მიერ დადგენილი ჯარიმა, რომელიც პირობის გამტეხს უნდა გადაეცა მეორე მხარისათვის.⁴¹

III. ფეოდალური საქართველო

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მსგავს მოდელს ფეოდალური საქართველოს სამართლის წყაროებშიც ვაწყდებით.⁴² ეს არ არის ნაფიცი მსაჯული, მისი თანამედროვე გაგებით, არამედ მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოების (მოქალაქეთა) მონაწილეობის ერთ-ერთი ნაირსახეობაა. კერძოდ, საუბარია ე.წ. „ბჭეზე“⁴³, რომელიც დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მხოლოდ გამოჩეულ ადამიანებს ანდობდნენ ამ ფუნქციას. ბეჟა-აღბულას კანონებში⁴⁴ (რომელიც ვახტანგ VI-ის კოდექსში შედიოდა⁴⁵) მოცემულია

⁴⁰ ნულუკიანი ა., სვანური ბჭე-მედიცინო-სასამართლო, ქართული ჩვეულებებით სჯული, ჟურნ. „სახელმწიფო და სამართალი“, N9, 1990, 60.

⁴¹ კეკელია მ., მასალები სვანურ ჩვეულებით სამართალზე, ეთნოგრაფიული რვეული, N1, 1967, 83.

⁴² მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2003, 25.

⁴³ ვაჩიშვილი ა., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან, წ. III, 1963, 22.

⁴⁴ მეტრეველი ვ., საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, თბილისი, 2003, 30.

⁴⁵ ფურცელაძე დ., სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ვახტანგ VI, კანონები, თბილისი, 1980, 21.

ბაგრატიის სამართლის რამდენიმე ფრაგმენტი, რომელიც, თავის მხრივ, ადასტურებს ამ ინსტიტუტის არსებობას. ასე მაგალითად, მე-100 მუხლი ადგენს: „ვინცა მოძღვარი იყოს, ანუ მეფეთა წინაშე ზრდილი და ნამყოფი კაცი იყოს, ან კარგი დიდვაჭარი ან კარგი სოფლისა მამასახლისი იყოს, აგეთი კაცი იყოს, ის დასვი (თ) ბჭედ, ჭკვიანი იქნების და კარგად ეცოდინების ბჭობა და უსამართლოს არას იტყვიც“⁴⁶. ანუ, როგორც ჩანს, ბჭეს და ნაფიც მსაჯულს ბევრი საერთო ნიშანი აქვთ: ისინი საზოგადოების რიგითი წევრები არიან, ირჩევიან მეფის მიერ (ნაფიც მსაჯულთა წინამორბედიც სწორედ ამ გზით აირჩეოდა) და მონაწილეობენ მართლმსაჯულების განხორციელებაში.⁴⁷

IV. „ერის სასამართლოს“ იდეა ცარიზმის საქართველოში

ერთ-ერთი პირველი მითითება ნაფიც მსაჯულთა შესახებ ქართულ პრესაში 1895 წლის მაისში ჩნდება. კავკასიის სამართლის საზოგადოებამ ამ საკითხზე შეკრება მოიწვია. ცნობილმა რუსმა იურისტმა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მომხრემ – კონიმ მიმართა აუდიტორიას.⁴⁸ თბილისისა და ქუთაისის თავადაზნაურობის საზოგადოებამ არაერთი შეხვედრა დაუთმო მსაჯულთა საკითხს.⁴⁹ „ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის განვითარების“ შესახებ კომისიაც შეიქმნა, რომლის წევრი ილია ჭავჭავაძეც იყო. თუმცა, მიუხედავად ამისა, ცარიტულ პერიოდში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში არ დაინერგა. 1889 წლის 15 აპრილს გაზეთი „ივერია“

⁴⁶ ჯავახიშვილი ივ., თხზულებანი 12 ტომად, ტ. VI, თბილისი, 1982, 88.

⁴⁷ კეკელია მ., სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, ტ. II, თბილისი, 1981, 106.

⁴⁸ „ერის სასამართლოს“ იდეა ცარიზმის საქართველოში, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო,

იხ., <<http://msajuli.ge/index.php?m>> [16.04.2022]

⁴⁹ დოლიძე ა., პირველი ნაბიჯები სასამართლო ხელისუფლება საქართველო დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921), თბილისი, 2019, 28.

წერდა: „ცარიზმმა ქართველ ხალხს არათუ მთლიანად სამართლიან სასამართლო სისტემაზე უარი უთხრა, არამედ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების „წყალობაც“ წაართვა“⁵⁰.

ქართული საზოგადოება დიდი იმედით ელოდა საქართველოში (იმუამად რუსეთის იმპერიის ოკუპაციის ქვეშ) ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დამკვიდრებას.⁵¹ აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ერთ-ერთი ავტორის, სამსონ დადიანის მოსაზრება, რომლის თანახმად: „ამის სასურველობას და საჭიროებას მტკიცება არ ესაჭიროება ჩვენთვის, ჩვენი ხალხისთვის, იმისათვის, კი ვინც მთელი ნახევარი საუკუნე იმას ვევედრებოდით რუსეთის მთავრობას, რომ ჩვენთვისაც მიენიჭებინათ ეს ინსტიტუტი“⁵². თუმცა „რუსეთის ხელისუფლებისა და ადგილობრივი მთავრობის მეცადინეობით, ახალი სამართალი ცოტა განსხვავებულად შემოიღეს ჩვენში“⁵³, რის გამოც, დამკვიდრებული ტრადიციებისა და ჩვეულებების გათვალისწინებით, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ამ რეგიონისთვის შეუფერებლად იქნა მიჩნეული.⁵⁴

ილია ჭავჭავაძე წერდა: „მსაჯული ის რჩეული კაცია, რომელსაც აბარია ჩვენი ქონება, ჩვენი ღირსება, ჩვენი სიცოცხლე, ჩვენი სული და ხორცი, ერთის სიტყვით, ჩვენი კაცური კაცობა, ჩვენი ადამიანობა. იგი განხორციელებული ნამუსია და განსახორციელებელი სინდისია მთელი ერისა, ერის უკეთეს კაცთაგან შეძლებისამებრ განმნდელი და კუთვნილ სიმაღლეზე დაყენებული“⁵⁵.

⁵⁰ იხ., იქვე, 135.

⁵¹ ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, თბილისი, 2013, 20.

⁵² ქართული კონსტიტუციონალიზმის ქრონიკები, თბილისი, 2016, 275.

⁵³ მეტრეველი ვ., აკაკი წერეთლის პოლიტიკური და იურიდიული შეხედულებები, თბილისი, 1980, 117.

⁵⁴ ნაჭყებია გ., ლეკვეიშვილი მ., ივანიძე მ., შალიკაშვილი მ., თუმანიშვილი გ., გოგნიაშვილი ნ., ბოხაშვილი ირ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში, თბილისი, 2013, 21.

⁵⁵ კუტალია რ., ილია ჭავჭავაძის სამართლებრივ-პოლიტიკური შეხედულებები და სამართლის ფილოსოფია, თბილისი, 2004, 5.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს საკითხი გადაჯაჭვული იყო ხალხის მხრიდან სამართალწარმოების ენის ცოდნასთან. როგორც წყაროებიდან ჩანს, ადგილობრივი განათლებული წრეები დაჟინებით ითხოვდნენ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების ხალხთან დაახლოების საშუალებას. ნაფიცი მსაჯულები, როგორც ქართული ენის მცოდნე მოქალაქეები, ახლოს იქნებოდნენ ხალხთან (რუსეთიდან დანიშნულმა მოსამართლეებმა არ იცოდნენ ქართული და პროცესს აწარმოებდნენ რუსულად). ამრიგად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღება არ ატარებდა მხოლოდ იმ ტრადიციულ ფასეულობას, რომელიც ამ ინსტიტუტის ერთ-ერთი უმთავრესი მახასიათებელია – ანუ მართლმსაჯულების განხორციელება თანასწორობა მიერ. საქართველოში ის ატარებდა სახალხო სუვერენიტეტის იდეასაც, ვინაიდან პირდაპირ უკავშირდებოდა ქართველი მოსახლეობის მიერ სამართალწარმოების გაგებას და მასში მონაწილეობას.

V. ნაციფ მსაჯულთა სასამართლო საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის ხანმოკლე პერიოდის მიუხედავად, შემოღებულ იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო,⁵⁶ რომელმაც არაერთი საქმე განიხილა, ხოლო საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს მიღებული საქართველოს კონსტიტუციის 81-ე მუხლით, სასამართლოს თავში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვით: „მძიმე სისხლის სამართლის, და აგრეთვე, პოლიტიკურის და ბეჭდვითი დანაშაულისათვის არსებობს ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი“⁵⁷.

⁵⁶ ბეჟაშვილი თ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო (წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია), თბილისი, 2014, 8.

⁵⁷ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, თბილისი, 1990, 472.

1919 წლის 17 იანვარს საქართველოში დამკვიდრდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.⁵⁸ იუსტიციის სამინისტრო მოსახლეობას სიამაყით ამცნობდა: „სულ ახლო მომავალში განხორციელდება ქართველი ერის უდიდესი ზრახვა, ჩვენი ქვეყანაც ეზიარება კულტუროსან ერთა მიერ საუკეთესოდ აღიარებულ სამართლის ფორმას – ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს“⁵⁹.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ მიიღო კანონი „სასამართლოების შესახებ“ 1917 წლის 21 სექტემბერს. ამ კანონშიც ნახსენები იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოგვიანებით შეიცვალა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ ნორმები მოიცვა. თუმცა ეს ნორმები ამოქმედდა მხოლოდ 1919 წლის 17 იანვრის შემდეგ, როდესაც პარლამენტმა მიიღო კანონი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების“ შესახებ. სამინისტრო ამასთან დაკავშირებით უთითებს, საქართველოს კანონი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემოღების“ შესახებ, მიღებული 1919 წლის 17 იანვარს, მცირე მოცულობისაა. ის მხოლოდ სამი მუხლისგან შედგება და შესაბამისი დებულებაც ახლავს თან. კანონის მოთხოვნაა, რომ იუსტიციის სამინისტრომ სასწრაფოდ, „დაჩქარებით“ შემოიღოს ნაფიც მსაჯულთა სიები, არაუგვიანეს 1919 წლის 1 ივნისამდე.⁶⁰

დებულება აწესრიგებს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მოწყობის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. სასამართლო შედგებოდა ერთი მოსამართლისა და 12 მსაჯულისაგან (ასევე 2 სათადარიგო მსაჯულისაგან). მსაჯულებისთვის წაყენებული იყო შემდეგი მოთხოვნები: 1. საქართველოს მოქალაქეობა, 2. ქართული ენის სასაუბრო ცოდნა და ნებისმიერი ენის წერა-კითხვის ცოდნა, 3. მინიმალური ასაკი – 25 წელი. 4. 1 წელი მაინც იმ უბანში ცხოვრება, სა-

⁵⁸ დოლიძე ა., პირველი ნაბიჯები სასამართლო ხელისუფლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921), თბილისი, 2019, 136.

⁵⁹ იქვე.

⁶⁰ საქართველოს პარლამენტის და საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის 17 იანვრის კანონი „ნაფიც მსაჯულთა შემოღებისა.“

დაც მიმდინარეობს შერჩევა.⁶¹ კანონით ასევე განისაზღვრებოდა ის პროფესიები, რომლებიც გამორიცხავდა ნაფიც მსაჯულად მსახურს. კანონმდებლობა განსაზღვრავდა მსაჯულების შერჩევის პროცედურებს.⁶² ერთი და იმავე ადამიანის მოხმობა ნაფიც მსაჯულად შეიძლებოდა არა უმეტეს ნელინადში ორჯერ.⁶³ დებულება აწესებდა მსაჯულთა ანაზღაურებას, ხოლო მოგვიანებით მსაჯულის სამსახურისათვის თავის არიდების შემთხვევაში ჯარიმაც დადგინდა.⁶⁴

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ამოქმედება ყოვნდებოდა ისევ და ისევ ბიუროკრატიული გაუმართაობის გამო. ჭირდა ნაფიც მსაჯულთა სიების შედგენა. სიის წარდგენა ევალებოდა ადგილობრივ თვითმმართველობას, რომელიც სისტემის გაუმართაობის გამო, სიის შედგენას და სასამართლოში წარდგენას აგვიანებდა. ეს იწვევდა იუსტიციის სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს გულისწყრომას, ვინაიდან ფერხდებოდა მართლმსაჯულება: „ეს კანონი არ არის ცალკე ცხოვრებაში გატარებული, რადგან რამდენიმე ქალაქის და ერობათა გამგეობას, მიუხედავად იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროს მრავალჯერ განმეორებულ წინადადებისა, არ შეუდგენია მსაჯულთა საერთო სიები და არ წარმოუდგენიათ ისინი სათანადო ოლქის სასამართლოში. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო დაუყოვნებლივ უნდა განხორციელებულიყო და რომ ბევრი ბრალდებული ყოველ ზომას იღებს, რათა მათი საქმე გადადებულ იქმნას და არ გაირჩეს. სანამ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებას არ დაინწყებს, არ შეიძლება არ ითქვას, რომ ერობის და ქალაქების ერობათა ამ გვარი მოქმედება ყოვლად შეუწყნარებელია“⁶⁵.

⁶¹ იხ., იქვე, მუხლი 1.

⁶² იქვე, მუხლი 1(16).

⁶³ იქვე, მუხლი 1(17).

⁶⁴ საქართველოს დამფუძნებელი კრების და საქართველოს რესპუბლიკის 1920 წლის 23 აპრილის დროებითი კანონი „ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დებულების“ შეცვლის შესახებ, 1920.

⁶⁵ დოლიძე ა., პირველი ნაბიჯები სასამართლო ხელისუფლება საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921), თბილისი, 2019, 136.

პირველი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო საქართველოში გაიმართა 1920 წლის 8 მარტს, ამ სისტემის შემოღებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ. სასამართლომ ქურდობის 2 საქმე განიხილა. პრესაში მითითებულია ნაფიც მსაჯულთა შემდეგი შემადგენლობა: 14 ქალი და 19 მამაკაცი; 25 ქართველი, 5 სომეხი და 3 რუსი. თუმცა 33 გამოძახებული პირიდან მსაჯულების მხოლოდ 20 კანდიდატი გამოცხადდა.⁶⁶

ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული საქმე, განხილული ნაფიცი მსაჯულების მიერ, იყო შალვა მაღლაკელიძის და მისი თანამოაზრეების საქმე.⁶⁷ შალვა მაღლაკელიძე იყო გამორჩეული ფიგურა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობაში. ამ დროს ის ტფილისის გენერალ-გუბერნატორის თანამდებობაზე მსახურობდა.⁶⁸ სასამართლო განხილვა დაახლოებით ორი კვირა გაგრძელდა და მნიშვნელოვანი მედიაყურადღება მიიპყრო. გაზეთი „სახალხო საქმე“⁶⁹ აშუქებდა ამ პროცესს.⁷⁰ 24 გამოძახებული მსაჯულიდან მხოლოდ 19 გამოცხადდა და აქედან 2 აცილებულ იქნა. სასამართლო პროცესი 6 ივლისს დაიწყო. ამ ხნის განმავლობაში ახალი უწყება ეგზავნებოდა მსაჯულებს და გამოუცხადებლობის შემთხვევაში კანდიდატებს ჯარიმა დაეკისრებოდათ ან მათ ძალით მოიყვანდნენ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შექმნა საქართველოში განსაკუთრებულ ხასიათს იძენს. ტრადიციულად მიჩნეულია, რომ ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ემსახურება მოქალაქეთა განსჯას

⁶⁶ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921, თბილისი, 1990, 472.

⁶⁷ რცხილაძე ვ., შალვა მაღლაკელიძის მოგონებანი, თბილისი, 2012, 53.

⁶⁸ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, შალვა მაღლაკელიძე,

იხ., <<http://www.nplg.gov.ge/emigrants/ka/00000136/>> [16.04.2022]

⁶⁹ გაზეთი „სახალხო საქმე“ იყო საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის რევოლუციური კომიტეტის ყოველდღიური ოფიციალური გაზეთი, გამოიცემოდა 1917-1921 წლებში.

იხ., <<http://www.nplg.gov.ge/paper/papers/paper.php?did=2049>> [16.04.2022]

⁷⁰ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წლის 6 ივნისი, საქართველოს უზენაესი სასამართლო.

იხ., <<http://www.msajuli.ge/index.php?m=797>> [16.04.2022].

საკუთარი წრის ადამიანების მიერ, მართლმსაჯულებაში მოქალაქეების მონაწილეობის იდეას. თუმცა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში ნაფიც მსაჯულებს დამატებითი მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ამ რეფორმამდე სასამართლო ხალხისათვის ხელმისაწვდომელი იყო, ვინაიდან რუსეთიდან დანიშნულმა მოსამართლეებმა არ იცოდნენ სამართალწარმოების ენა და თან ნაკლებად აინტერესებდათ დაპყრობილი ხალხის სამართლიანობის განცდა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო კი, შექმნილი მოქალაქეებისაგან, უზრუნველყოფდა სამართალწარმოებას მოსახლეობის ენაზე, იმ ტერიტორიაზეც კი, სადაც ეროვნული უმცირესობები ცხოვრობდნენ. შესაბამისად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ქართველი ინტელექტუალების სურვილების შესაბამისად, იყო სასამართლოს ხელმისაწვდომობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი.

VI. „სახალხო მსაჯული“ საბჭოთა კავშირში

საქართველო საბჭოთა კავშირმა დაიპყრო, რის შედეგადაც ქვეყანაში დაინერგა მსაჯულთა ინსტიტუტის საბჭოური ნაირსახეობა.⁷¹ ნაფიც მსაჯულთა სანაცვლოდ, ბოლშევიკებმა შემოიღეს „სახალხო მსაჯული“, რომელიც არასოდეს ყოფილა პროფესიონალი მოსამართლის გამანონასწორებელი საზოგადოებრივი საშუალება. ისინი მხოლოდ ფორმალურად სარგებლობდნენ ფართო უფლებამოსილებით, რის გამოც მათ სამართლიანად უწოდეს „კვერის დამკვერელები“.⁷² სსრკ-ის არსებობის ბოლო პერიოდში უკვე არავინ დავობდა ამ ინსტიტუტის ნაკლოვანებაზე, ამიტომაც გორბაჩოვის მიერ წამოწყებულმა „პერესტროიკამ“, რომელიც სასამართლო რეფორმასაც ითვალისწინებდა, ოფიციალურად აღიარა მათი სისუსტე და გაითვალისწინა „გარკვეული შემთხვევები, ნაფიც მსაჯულთა

⁷¹ იხ., საქართველოს 1960 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13, 244-ე მუხლები.

⁷² ბეჟუაშვილი თ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლო წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია, თბილისი, 2012, 18.

სასამართლოს მიერ გასამართლების უფლების საკანონმდებლო აღიარების“ თაობაზე.⁷³ ეს იმიტომ, რომ, როგორც ცნობილია (ამას წარსულში სასამართლო პროცესებზე მსაჯულის ამპლუაში ნამყოფი ადამიანები თითქმის ერთხმად აღნიშნავენ), სახალხო მსაჯულთა მონაწილეობა იყო მეტისმეტად ფორმალური, ვინაიდან მათ მხოლოდ ქალაქებში ჰქონდათ უფლებები და რეალურად, სურვილის შემთხვევაშიც, არ შეეძლოთ ეფექტიანად მიეღოთ მონაწილეობა საქმეთა გადაწყვეტაში – ყოველთვის დაესვათ მხარეთათვის პრინციპულად მნიშვნელოვანი შეკითხვები, მოესმინათ მათი პასუხები, აქტიურად ჩარეულიყვნენ ბრალის საკითხის დადგენასა თუ განაჩენის გამოტანის პროცესში და ა.შ.⁷⁴ ამიტომ მათი მონაწილეობა მართლმსაჯულების განხორციელებაში მეტწილად იყო ფიქცია, საბჭოთა იდეოლოგიის ერთ-ერთი ნაწილი.

VII. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო თანამედროვე საქართველოში (მართლმსაჯულების მე-3 ტალღა)

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ **„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ 2004 წლის 6 თებერვლის საქართველოს კონსტიტუციური კანონის** მიხედვით, საერთო სასამართლოებში საქმეები შესაძლებელია განიხილონ ნაფიცმა მსაჯულებმა, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით. აღნიშნულიდან გამომდინარე, **2010 წლის 1 ოქტომბრიდან**, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისად, საქართველოში ამოქმედდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, თუმცა საწყის სტადიაზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლო მოქმედებდა მხოლოდ

⁷³ სსსრ-ის 1960 წლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 თავის 244-ე მუხლი.

⁷⁴ ხურციძე დ., ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის წარმოშობა და მისი ისტორიული მიმოხილვა, წიგნში: ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, თავისებურებანი და პრობლემები, თბილისი, 2017, 9.

თბილისის საქალაქო სასამართლოში და განიხილავდა სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) გათვალისწინებული დანაშაულის (მხოლოდ დამთავრებული) სისხლის სამართლის საქმეებს.

2009 წლის 9 ოქტომბერს, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღებით, საქართველოში შემოვიდა შეჯიბრებითობის სისტემა სისხლის სამართლის საქმეებზე. იურისტებისათვის ეს უდიდესი ცვლილება და გამოწვევა იყო. სასამართლო პროცესებზე მოსამართლეები აღარ აქვეყნებენ მტკიცებულებებს და კითხავენ მოწმეებს. ახლა უკვე პროკურორის/ადვოკატის საქმეა, წარმოადგინოს თავისი საქმე და დაკითხოს მოწმეები. თუ პროკურორი/ადვოკატი თავის საქმეს თავს ვერ გაართმევს, მტკიცებულებები და ჩვენება ვერასდროს მივა მოსამართლემდე ან ნაფიც მსაჯულებამდე, რომლებმაც საქმე უნდა გადაწყვიტონ. ახლა ტვირთი მთლიანად მხარეებზეა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ, რომ მათი შუამდგომლობების მხარდამჭერი მტკიცებულებები მოსამართლემდე ან ნაფიც მსაჯულებამდე მივიდეს. მათ ასევე უნდა შეძლონ, არასასურველი მტკიცებულებები არ იქნეს განხილული. ამ მიზეზთა გამო უაღრესად მნიშვნელოვანია, პროკურორებმა/ადვოკატებმა გაიგონ და მაღალ დონეზე დაეუფლონ შეჯიბრებითობის სისტემას.⁷⁵

დღეის მდგომარეობით, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს კლასიკური მოდელი დამკვიდრა, რა დროსაც 12 ძირითადი და მინიმუმ 2 სათადარიგო მსაჯულის შემადგენლობით (რომლებსაც მხარეები მსაჯულთა შერჩევის სხდომებზე ირჩევენ), გადაწყვეტილებას იღებენ მინიმუმ 8 ხმით 4-ის წინააღმდეგ.⁷⁶ გამამართლებელი გადაწყვეტილება არ საჩივრდება. ხოლო გამამტყუნებელი ვერდიქტი საჩივრდება მხოლოდ საკასა-

⁷⁵ იხ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლი.

⁷⁶ იქვე, 261-ე მუხლი.

ციო წესით. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შემადგენლობაში არ უნდა იყოს ექვსზე ნაკლები მსაჯული ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, რვაზე ნაკლები – მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე, ათზე ნაკლები – განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულთა საქმეებზე.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლოები იქმნება თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებსა და ზუგდიდის, თელავისა და გორის რაიონულ სასამართლოებში. მათი სამოქმედო ტერიტორიები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით. ბრალდებული შეზღუდულია ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არჩევით. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 226-ე მუხლის 1-ლი ნაწილი მოიცავს იმ ჩამონათვალს, თუ რა შემთხვევაში განიხილავს საქმეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო: თუ წარდგენილია ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე (დამთავრებული) და 109-ე (დამთავრებული) მუხლებით, 117-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-6 და მე-8 ნაწილებით, 126-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 1351 მუხლით, 143-ე მუხლის მე-2-მე-4 ნაწილებით, 144-ე-1442 მუხლებით, 1443 მუხლის მე-2 ნაწილით, 146-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 147-ე და 149-ე მუხლებით, 197-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 198-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 229-ე მუხლით. სხდომის თავმჯდომარის განმარტებების მიღების შემდეგ ნაფიცი მსაჯულები გადაიან სათათბირო ოთახში ვერდიქტის გამოსატანად. ნაფიც მსაჯულთა გარდა, არავის აქვს უფლება, იმყოფებოდეს სათათბირო ოთახში და რაიმე სახით გავლენა მოახდინოს ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტზე. ნაფიც მსაჯულთა მიერ საქმის განხილვის შემდეგ უფროსი მსაჯული თანამიმდევრულად აყენებს ღია კენჭისყრაზე თითოეულ საკითხს, სხდომის თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული რიგითობით და ფორმულირებით. ჯერ კენჭი ეყრება ყველა წარდგენილ ბრალდებაზე გამამართლებელ ვერდიქტს. თუ ვერდიქტი ვერ მიიღება, კენჭი ეყრება გამამტყუნებელ ვერდიქტს ბრალდების სიმძიმის მზარდი თანამი-

მდევრობით. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო განსჯის და იღებს გადაწყვეტილებებს ფაქტების შესახებ. ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ფაქტების შესახებ გადაწყვეტილებებს იღებს სხდომის თავმჯდომარის მიერ სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებებისა და განმარტებების საფუძველზე. ნაფიცმა მსაჯულებმა თითოეულ წარდგენილ ბრალდებაზე უნდა გადაწყვიტონ უდანაშაულობის ან ბრალეულობის საკითხი. უფროსი მსაჯულის მიერ ვერდიქტის ხელმოწერის შემდეგ ნაფიცი მსაჯულები ბრუნდებიან სასამართლო სხდომის დარბაზში და უფროსი მსაჯული სხდომის თავმჯდომარეს გადასცემს ვერდიქტს.

მოსამართლე ამ პროცესში მონაწილეობს როგორც არბიტრი; იგი აკონტროლებს მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპზე დაფუძნებული პროცესის პირობებში, ნაფიც მსაჯულთა მიერ თავიანთი უფლება-მოვალეობების განხორციელებისა და შესაბამისი ვერდიქტის მიღების პროცესს.⁷⁷

კვლავ დიდ გამოწვევად რჩება ნაფიც მსაჯულთა შერჩევის პროცესი⁷⁸. მაგალითად, ბრალდებულ მერაბ კობიაშვილის სისხლის სამართლის საქმეზე 18 თვე არჩევდნენ მხარეები ნაფიც მსაჯულებს, რისთვისაც მათ დასჭირდათ 40 სხდომის ჩატარება. ამასთან, პრობლემაა მოქალაქეთა თვითშეგნება, ანუ ზოგადად, მათი დამოკიდებულება ამ ინსტიტუტის მიმართ და პროცესებში მონაწილეობისგან თავის არიდების სურვილი. დამატებით პრობლემაა ასევე ბრალდების მხარე, თავისი უდიდესი რესურსით და ნაფიც მსაჯულთა უკანონო მოსმენებით, რა დროსაც ზეპირად იციან, თუ რა ხდება სათათბირო ოთახში და ვინ რა ვერდიქტს უჭერს მხარს.

⁷⁷ მეიშვილი ზ., ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წარმოშობა და განვითარება საქართველოში, 2020, 283.

⁷⁸ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, გ. გიორგაძის რედაქტორობით, თბილისი 2015, 662.

VIII. დასკვნა

ისტორიული ექსკურსი ცხადყოფს, რომ სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებულმა მოთხოვნებმა თუ საჭიროებებმა გამოიწვია ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს (ან მსგავსი სისტემის) დანერგვა. საზოგადოების განვითარების საწყის ეტაპზე მისი ჩამოყალიბების უმთავრესი მიზანი შურისძიებისა და სისხლისღვრის თავიდან აცილება იყო. მოგვიანებით, სოციუმის მოთხოვნა მართლმსაჯულების მიუკერძოებლობა და გამჭვირვალობა გახდა. თანამედროვე საზოგადოებაში კი წინ წამოინია საზოგადოების ცნობისმოყვარეობამ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით. ამას გარდა, მათმა სურვილმა უშუალოდ იყვნენ ჩართულნი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის მთავარ გამოწვევად და პრობლემად, სვანი „მორვალეების“ მსგავსად, რომლებიც მცდარი გადაწყვეტილების გამოტანის შიშით ცდილობდნენ თავი დაეღწიათ დაკისრებული საქმიანობისგან, კვლავაც რჩება მსაჯულთა შერჩევის პროცესი.